მწყემსი

ე გარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 21 **1883-1892** 15 ნოემბერს.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Микеми“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

გამოთხოვება მიტროპოლიტის პალლადისა სამწყსოსთან.

ელეასავით მოიარა პეტერბურგიდამ მოსულმა ამბავმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის პეტერბურგის მიტროპოლიტად დანიშვნამ. საქართველოს ეკკლესიის სამწყსომ ჯეროვნად მიულოცა მის მწყემსთ-მთავრად ნამყოფს ეს ამაღლება. 7 ამ ნოემბერს საქართველოს სამღვდელოება შეკრიბა ქ. თბილისში ყოველი კუთხიდამ: იმერეთიდამ მობრძანდა მღვდელ-მთავარი გაბრიელი და სამღვდელოების მხრით დეკანოზი დავით ლამბაშიძე. სამეგრელოდამ მღვდელ-მთავარი გრიგორი და სამღვდელოების მხრით დეკანოზი გრიგორი მაჭაროვი. სოხუმიდამ მოვიდნენ სუხუმის ეპისკოპოსი აგათოდორი და ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ივერონი; მოვიდნენ აგრეთვე სამძღვარ გარეთი მონასტრების წარმომადგენელები, სინოდალნი კანტორის მოსამსახურენი, სასულიერო სემინარიის და



თბილისის სხვა და სხვა სასწავლებლების მასწავლებელნი და წარმომადგენელნი. პირველ საათზედ მთელი ეს კრება შეერთდა ექსარხოსის სასახლეში. გამობრძანდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი პალლადი თავის დარბაზიდამ, მიესალმა მღვდელ-მთავრებს და კურთხევა მისცა ყველას. პირველად წარსდგა სინოდალნი კანტორის პროკურორი და მოსამსახურენი და მიართვეს ადრესი, რომელშიაც განუცხადეს, რომ მათი მეუფება როგორც ზედ მიწევნით მცოდნე სასულიერო და სამოქალაქო კანონებისა კეთილად წარმართებდა კანტორის საქმეებს. მადლობა შესწირეს და კურთხევა მიიღეს. შემდეგ წარსდგა სოხუმის ეპისკოპოსი აგათოდორე და წაიკითხა ადრესი, რომელშიცა განაცხადებდა, რომ მათი მეუფება ბევრს ზრუნავდა აფხაზეთის მოქცევისათვის, რომ რიგიანად დააყენა მისიონერული საქმე და იმედია შემდეგშიაც არ მოაკლებს მწყემსთ-მთავრულ ყურადღებას დამზრუნველობას და ამასთან მიართვა ღვთის-მშობლის ხატი... შემდეგ ამისა წარსდგა თბილისის სემინარიის რექტორი მამა არქიმანდრიტი ტიხონი და მიართვა ადრესი. ამ ადრესში იყო გამოთქმული ის აზრი, რომ მათი მეუფების მოსვლის დროს სემინარიის მდგომარეობა იყო არა სანატრელად დამყარებული, მაგრამ მათის მეუფების თაოსნობით როგორც სემინარიის, ისე მთლად მთელი საქართველოს საექსარხოსოის სასწავლებლები მშვენივრად დაიწყო და სასურველად მიმდინარეობს ყველგან სწავლის საქმე...

შემდეგ რექტორისა წარსდგა დეკანოზი ესტატე ელიევი და მთელი სამღვდელოების მხრით მიართვა ადრესი და ივერიის ღვთის-მშობლის ხატი. ადრესში დაწვლილებით იყო მოხსენებული ყველა ჩინებული და სასახელო ღვაწლი და სამსახური მათი მეუფებისა, როგორც ჩვენ მხარეში, აგრეთვე რუსეთის სხვა ეპარქიებში. ამ ადრესში იყო გამოცხადებული გულითადი მადლობა მადრიელი მისი ყოფილის სამწყსოსაგან...

მათმა მეუფებამ გულდასმით მოისმინა ყველა წაკითხული ადრესი. არ მოეწონა ადრესების გადამეტი ქება დიდება, ბოლოს მადლობა გამოუცხადა საზოგადოდ ყველას პატივისცემისა, სიყვარულობისა და თავმდაბლად მორჩილებითი მსახურებისათვის მასთან ერთად ქრისტეს ეკკლესიის ყანაში. ყველანი გააფრთხილა ერთგულად მსახურებისათვის და აღუთქვა, რომ ის არასოდეს არ დაივიწყებს საქართველოს და მის გულ-კეთილ და ზრდილობიან ხალხს...

ორი საათი და ნახევარი იყო, როდესაც სადილზე დაბრძანდენ თვითონ საექსარხოსო სახლის ერთ დიდ ზალაში. სადილი იყო გამართული 80 კაცისათვის. სადილზე სამღვდელოთაგან მარტო დეკანოზები და არქიმანდრიტები იყვნენ. სადილზე პირველი სადღეგრძელო იყო წარმოთქმული მათი მეუფების მიტროპოლიტის პალლადისაგან ხელმწიფე იმპერატორის, იმპერატრიცის და მემკვიდრისა. ეს სადღეგრძელოები დიდის ალტაცებით იყო ყველასგან მიღებული. შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო მიტროპოლიტის პალლადისა, რომელიც აგრეთვე ალტაცებით იყო მიღებული. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო მღვდელ-მთავართა, მწყემსთა და სამწყსოთათვის. როდესაც მათი მეუფების მიტროპოლიტის სადღეგრძელო მიირთვეს, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც მათ მეუფებას მადლობა შესწირა იმისათვის, რომ მის დროს და მისი მეოხებით გავრცელდა და დაარსდა სამრევლო სკოლები თითქმის ყველა სამრევლოებში. შემდეგ დეკანოზმა მ. გ. ხელიძემ მოახსენა მათ მეუფებას: «მრავალგვარი და ვრცელია უწმ. სინოდის მოვალეობა, ისე როგორც ვრცელია თვითონ რუსეთის იმპერია. დიდი გონება და გამოცდილება მართებს კაცს, რომ სინოდის საქმეები მართოს ჯეროვანად. იმედია, რომ თქვენ ამ მხარეში ნამსახური და კარგად მცოდნე ჩვენი ეკკლესიის გარემოებისა ყოველთვის ჯეროვანად და რიგიანად განაგებთ ჩვენს საქმეებს» ამის შემდეგ წამოდგა დეკანოზი დავით ღამბაშიძე და მოახსენა მათ მეუფებას:

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო და მამაო!

ნება მიბოძეთ მეც, სოფლიდგან მოსულს მღვდელს, წარმოვსთქვა ჩემის უქლურის ენით ყველა ის, რითაც სავსეა ჩემი გული და რასაც მეუბნება გონება ჩემი.

როგორც ისტორია, აგრეთვე დღევანდელი ხალხის ცხოვრებაც წარმოგვიდგენს მრავალ ისეთ სახელმწიფო მოღვაწეთა, რომელნიც გენიოსური ჭკუით და სახელმწიფო დიდსაქმეთა და მათდამი მინდო

ბილთა განზრახვათა მშვენიერად ასრულებით, უკვდავი ასოებით აღბეჭდვენ თვისთა სახელთა ისტორიისა და მატიანეთა ფურცლებზედ. მაგრამ ცოტანი, ძლიერ ცოტანი არიან ისეთნი პირნი, რომელთაც ხალხის საკეთილდღეოდ სამსახური შეეძლოთ იმ რიგად, რომ თვისი ხსოვნა აღბეჭდონ არა მარტო მატიანეთა და ისტორიის მკვდარ ფურცლებზედ, არამედ თვით ხალხის ცხოველ გულთა შინა, რათა თვისი ცხოველი ყოველი კეთილისადმი თანამგრძნობი და მხმობელი გულით თვით ხალხის გულთა შინავე შექმნან ხელთ უქმნელი ძეგლი თვისი. გარნა ამას სხვა ნიჭი უნდა, —ნიჭი განსაკუთრებული, რომელსაც ღმერთი მიანიჭებს მხოლოდ რჩეულთა თვისთა და ამიტომ მისი არ შეიძლება არც ყიდვა, არც სესხება, არც შოვნა და არც გამოგონება, თუ იგი თანშობილი არ არის.

ამა მცირე რჩეულთა რიცხვსა ჭეშმარიტად ეკუთვნით თქვენც, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო. საკვირველის სითანასწორით ასრულეთ თქვენ, —თქვენს ძნელს და დიდს ასპარეზზედ,—ერთის მხრით ნება ხელმწიფე იმპერატორისა, რომელმაც წარმოგგზავნათ თქვენ ივერიაში—ამა კურთხეულს ღვთის-მშობლის წილხდომილს ქვეყანაში—და მეორეს მხრით დაიმსახურეთ სრული სიყვარული, ერთგულება და პატივისცემა სამწყსოისა თქვენისა. ორთავე ამა ღვაწლითა თქვენ განსაკუთრებული შესამჩნეველი შეიქენით სხვათა მწყემს-მთავართა დასთა შორის მთელს დიდს და ვრცელს რუსეთის იმპერიაში—და აჰა განგება ღვთისა და ხელმწიფე იმპერატორი მიგიწვევსთ თქვენ უმაღლესს ადგილზედ და თანამდებობაზედ მსახურებად ეკკლესიისა და მამულისადმი. და გულწრფელად შეჰხარიან ყველანი—თქვენი სამწყსონი —დიდი და პატარა—ამა სანატრელს თქვენს აღმატებას და ყველა კრძალვით და მხურვალედ ევედრება ღვთის-მშობელს, რათა იგი იყოს მფარველი თქვენი ყოველთა თქვენთა გზათა შინა:

ვრცელს იმპერიას რუსეთისას ბევრი განაპირა ქვეყანა უპყრია, მაგრამ ყველა მათ შორის განსაკუთრებული ქვეყანაა საქართველო. ვინც იგი გაიცნო ჭეშმარიტად და გულწრფელად შეიყვარა, იმან არ შეიძლება არა სთქვას, რომ იგია რუსეთის მეფის გვირგვინის ერთი საუკეთესო მარგალიტთაგანი. საქართველოს არასოდეს არ დაავიწყდება, თქვენ რომ ეს ღირსება საჯაროდ აღიარეთ, როდესაც მათის უდიდებულესობათა წინაშე სიონის ტაძრის წინ ხმა მაღლად ბრძანეთ, რომ «საქართველო, დიდებული სიქველითა და ძლევამოსილობით, არისო ძვირფასი მარგალიტი მეფის გვირგვინში და ერთი საუკეთესო სამფლობელოთაგანი ვრცელი რუსეთის სამეფოისა». დიაღ, ვიდრე საქართველო ნამდვილ საქართველოდ დარჩება, იგი ყოველთვის იქნება ერთი ძვირფასი მარგალიტი სამეფო გვირგვინისა და ერთი საუკეთესო სამფლობელოთაგანი თვალ უწვდენელი რუსეთისა.

ჩვენ ყველანი ვსასოებთ, რომ განშორება თქვენი საქართველოსაგან ვერ შესცვლის, ვერ შეასუსტებს თქვენში ამა მაღალს აზრსა მასზედ და მას იმედი ექნება თქვენის ჩვეულებრივი მაღალი მფარველობის და მამობრივი მზრუნველობისა.

ჭეშმარიტად საგრძნობელია განშორება თქვენი, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ. საგრძნობელია იგი მთელის ამა ქვეყნისათვის, საგრძნობელია სამწყსოისა თქვენისათვის, საგრძნობელია თქვენის თანამოსამსახურეთათვის, განსაკუთრებით საგრძნობელია ზოგიერთთათვის, რომელნიც თქვენთან დაახლოვებულნი იყვნენ. ხოლო ძნელად თუ ვისთვისმე იყოს ისე საგრძნობელი, როგორც ჩემთვისაა. ჩემთვის კერძოდ, პირადად კი არა, არამედ იმ საქმისა გამო, რომელსაც აგერ უკვე ათი წელიწადია, რაც ვემსახურები. მე მოგახსენებთ ჟურნალის ბეჭდვის საქმის შესახებ. თქვენი განსაკუთრებული ყურადღება ჩემდამო და ზნეობრივი დახმარება ყოველთვის გვაძლევდა ძალასა და მხნეობას, რომ გვეძლია ყოველივე დაბრკოლება და თამამად აღგვემაღლებია ხმა სიმართლისა, პატივისა, სარწმუნოებისა და ქრისტეანობრივი ზნეობისა.

გულითადს მადლობას გწირავთ ყველა ამისათვის და სრული იმედი მაქვს, რომ ესრეთსავე დახმარებას არ მოგვაკლებთ არც აწინდელის უმაღლესის ადგილიდგან».

მათმა მეუფებამ ბრძანა: «თავიდამ ბოლომდის ყველა თქვენი სიტყვები მართალია». სადილი გაგრძელდა 5 საათამდის და 5-ე საათზედ ყველანი წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ბინებზედ მშვენიერის შთაბეჭდილებით. სადილის გათავების დროს სემინარიის ინსპექტორმა მღვდელ მონაზონმა ისიდორემ მათ მეუფებას მოახსენა შემდეგი სიტყვა: «სხვა თქვენ სასარგებლო სამსახურს გარდა, რომელიც დღეს აქ დაწვლილებით იყო წაკითხული, მე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი თქვენი ღვაწლი, რომელიც შეეხება

რუსეთიდამ გარდმოსახლებულთ მწვალებელთა ხალხს, მოწყვეტილთა ჩვენის მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ერთობიდგან. მე ვამბობ საქართველოში სხვა და სხ. გადმოსახლებულთა მწვალებელთა—სექტანტებთა შესახებ. ძველი დროიდგან მართებლობას გადმოურეკია ამ მხარეში სხვა-და-სხვა ჯურის სარწმუნოების მწვალებელნი მრავლობით და აქ ამ მხარეში გაუშვიათ ღვთის-ანაბარათ (სწორედ გასაკვირველია, რომ ამ გზა დაბნეულმა ხალხმა თავისი ცუდი მწვალებლობით ჩვენი ხალხი ვერ გააფუჭა). თქვენ, მეუფეო, მხოლოდ თქვენ მიაქციეთ ყურადღება ამ უბედურ დაღუპულ ცხოვართა და მომანდევით ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება. თქვენის მეოხებით 1 ეკკლესია კარგი ხანია აღშენდა და მეორე გუშინ აკურთხეთ. თქვენის წინამძღვრობით და ხელმძღვანელობით მე ულირსი ვუქადაგებ ამ ხალხს და იმედია, რომ თქვენი კურთხევა განაძლიერებს და წარმატებას მისცემს ამ მისიონერულ დაწესებულებას. მათმა მეუფემ ამ სიტყვის შემდეგ, სხვათა შორის, ბრძანა: „დიახ, სწორედ უბედურებაა რუსეთის ეკკლესიისათვის ეს მწვალებელნი, სექტანტები, რომელნიც ძველი დროიდგან არსებობენ რუსეთში. სწორედ შესანიშნავია და ბედნიერებაა, რომ ღვთის-მშობლის წილხდომილ ქვეყანაში, საქართველოს ეკკლესიაში კი სრულებით არ ყოფილან და არც დღეს არიან ამგვარნი მწვალებელნი და სექტანტები».

8 ნოემბერს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი, პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტი, საქართველოს ექსარხოსად ნამყოფი, პეტერბურგში გამგზავრების წინად, გამოესალმა თავის სამწყოს, უკანასკნელად შეასრულა წირვა თბილისის საკათედრო ტაძარში ყოვლად უსამღვდელოესთ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის, გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის, სუხუმის ეპისკოპოსის აგაფოდორის და ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის, 12 არქიმანდრიტის და უმაღლესი სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და სხვა თანამწირველმა მღვდელ-მთავრებმა, არქიმანდრიტებმა და თეთრმა სამღვდელოებამ გადაიხადეს პარაკლისი მუხლმოდრეკით და წარმოთქმულ იქმნა მრავალჟამიერობა მათი იმპერატორებისა უდიდებულესობათა, ბემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდ მთავრისა ძიხეილ ნიკოლოზის ძისა, მიხეილ ალექსანდრეს ძისა და მიხეილ მიხეილის ძისა, მთელი სამეუფო სახლეულობისა, უწმიდესი და უმართებელესი სინოდისა და უწმ. სინოდის უპირველესი წევრის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტის პალლადისა; შემდეგ პირველად იქმნა წარმოთქმული მრავალ-ჟამიერობა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ვლადიმირისა, საქართველოს ექსარხოსის, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოსისა. პარაკლისის გათავებისას, როცა გალობდენ: «შენ ღმერთო გაქებთ» მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი პალლადი გამოვიდა საკურთხეველიდამ ამვონზე მანტიით და თეთრი ბარტყულით და მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვით:

უფლისა მიერ წარემართების სვლაი კაცისა (ფსალ. 36, 23).

საყვარელნო ძმანო, უზენაესის განგებულებით, რომელიც ყოველივეს განაგებს და უკეთილმსახურესის თვით-მპყრობელის განკარგულებით მე მენიშნინება ახალი ასპარეზი ცხოვრებაში, რათა წარვიდე უფლის სხვა ვენახსა შინა, დავმწყსო სამწყსო ღვთისა მხარეში, რომელიც შორს არის თქვენგან, ვიქადაგო სიტყვა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა ჩემთვის ახალს ეკკლესიაში. არ ძალმიძს წინა აღუდგე უმაღლეს დადგენილობას: რამეთუ ნებასა ღმერთისასა ვინმე წინა აღუდგა (რომ. 9, 19). კრძალვით და მორჩილებით ეტვირთულობ უმაღლესად ჩემდამო ბოძებულ დანიშნულებას.

ჟამი იგი მიჭცევისა ჩემისა მოიწია (ტიმ. 4, 6). დღეს უკანასკნელად შეავასრულე მღვდელ-მოქმედება სამწყსოის ამა სატახტო ტაძარში და შევსწირე რა უსისხლო მსხვერპლი საცხოვნებლად და კეთილწარსამატებლად თქვენდა, კეთილ მორწმუნე მკვიდრთა ამა ქალაქისა და სრულიად საქართველოს სამწყოისათვის, მე უნდა გამოგეთხოვოთ თქვენ, საყვარელნო ძმანო. ამ გამოსათხოვარი სიტყვის დროს, მიიღეთ უკანასკნელი კურთხევა ჩემი მწყემსთ-მთავრობისა და ჩემი ლოცვითი კეთილ-სურვილი.

რაჲმე შჯჯ ვსთქვათ აწ? (რომ. 6, 1). დღეს, ჩემი წასვლის დროს, ვიტყვი პავლე მოციქულის სიტყვებით: **და აწ შეგვევედრებ თქვენ ღმერთსა, ძმანო, და სიტყვასა მას მადლისა მისისასა, რომელი შეძლებელ არს აღშენებად და მოცემად მკვიდრობისა ყოველ-**

თა შორის წმიდათა (საქმე მოც. 20, 32). ხუთი წლის წინად მე მოვედი შენდამი, უძველესო საქართველოს სამწყსოვ, ღვთის მშობლის წილ ხდომილო, მშვიდობით, სიყვარულით და კურთხევით მწყემსური საქმისა და მოღვაწეობისა ჩემისათვის. თქვენ იცით პირველითგან დღითგან, ვინათგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყავ თქვენთანა ყოველსა ჟამსა (საქმე მოც. 20, 18). ჩემი შეძლებისა დაგვარ მე ვცდილობდი აღმესრულებია ჩემი მწყემსებრივი ვალი, შეძლებისა დაგვარ ვცდილობდი რჩეულად წარდგინებად თავისა ჩემისა წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხვენელად, წარმართებად სიტყვისა მას ჭეშმარიტებისასა (2 ტიმ, 2, 15). და თუ მე რაიმე აღვასრულე, ღვთის შეწევნით, გავაკეთე სასიკეთო, გახსოვდეთ მე და მომიგონებდეთ კეთილად. მაგრამ ამ ჩემთვის შესანიშნავ წამს, მე მსურს რაიმე ვსთქვა უმეტესად მასზე, რაც განსაკუთრებით შეადგენს ეკკლესიის მწყემსისათვის ჭეშმარიტს ნუგეშს, ვამბობ—მწყემსსა და სამწყსოს შორის სულიერ ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზედ, როგორიც სუფევდა ჩვენს შორის და როგორიც, გაბედულად შემიძლია ვსთქვა, ჩემი სამსახურის დროს არ შემცირებულა, არამედ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ჩვენს შორის. ჩემი თქვენ შორის შემოსვლის დროიდგან მე ვხედავდი ცოცხალს მაგალითებს, რომ თქვენ ნამდვილნი ერთგულნი იყავით ჩემი. რაც ცხადად და თვალსაჩინოდ გამოცხადდა, როცა მე მომიძღვნეს მღვდელ-მთავრული კვერთხი. სული ჩემი აღვსილია მადლობით საქართველოს სამწყსოის ყველა წოდებისადმი იმ სიყვარულისათვის, რომელსაც ეს სამწყსო გრძნობდა ჩემდამო და იმ პატივისცემისათვის, რომელსაც მე ვიღებდი შესაფერი სამსახურისათვის; განსაკუთრებით ჩემ მოვალეობად ვრაცხ ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადო ღირსეულს საქართველოს აზნაურობას და ჩემს მახლობელს თანაშემწეებს—მწყემსთა. სასიხარულოდ მიმაჩნია, რომ საქართველოს ხალხი მტკიცედ იცავს სარწმუნოებას მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა და თავის კეთილმორწმუნე ჩვეულებათ. სასიხარულოდ მიმაჩნია, ძმანო, თქვენი ღვთის ტაძრისადმი სიყვარული, თქვენი ლოცვითი მუყაითობა, როგორი გრძნობითაც თქვენ დახვიდოდით ჩემ მიერ საღმრთო მსახურების შესრულებისა მოსასმენად და გიყვარდათ ჩემთან ერთად შევევედრებოდით უფალს, მიუხედავად მისა, რომ ხანდისხან ძლიერ დიდხანს გრძელდებოდა ღვთის-მსახურება. ყოვლად მოწყალე უფალმა განაძლიეროს თქვენი სარწმუნოება და კეთილი მსახურება, და დაიცვას თქვენ შორის ესეთი კეთილი ურთიერთობა, რათა ამაებით გამშვენებულნი, თქვენ ყოველთვის შეადგენდეთ გვირგვინსა ქებისასა (1 სოლ. 2, 9).

ჭეშმარიტის გულით გმადლობთ და ვისურვებ თქვენთვის ყოველივე კეთილს—დროებითს და საუკუნოს და გეთხოვებით თქვენ, საყვარელნო ძმანო. როგორც ჩემი პირველად თქვენში მოსვლის დროს გადმოგეცით მშვიდობა ქრისტესი და შემდეგაც მუდამ გარდმოგცემდით თქვენ ამა მშვიდობას როგორც ჩემ მიერ შესრულებულ ღვთის მსახურების დროს, ისე ქადაგების დროს, ისე ახლაც, თქვენთან გამოთხოვების დროსაც, მშვიდობას გიტოვებთ თქვენ (იოან. 14, 27). მშვიდობას ქრისტესას მოვიწოდებ თქვენ ყოველთა ზედა. მშვიდობა და კურთხევა ღვთისა იყოს შენზედა, ღვთის მიერ დაცულო საქართველოს სამწყსოვ, მწყემსთა და სამწყსოსა ზედა, რათა თქვენ შორის დამკვიდრებულ იქნეს სულიერი კავშირი. მშვიდობა და კურთხევა ამა ქალაქსა ზედა, რათა წარემატოს იგი სარწმუნოებასა და კეთილ ცხოვრებასა შინა და აივსოს კეთილ დღეობითა. იყოს მშვიდობა და კეთილ-დღეობა ამა ქვეყნის სხვა ქალაქებსა ზედა. იყოს მშვიდობა, საყვარელნო ძმანო, ოჯახებსა შინა თქვენსა და გულთა შინა თქვენთა და ღვთის კურთხევა, რომელიც შექმნის სახლთა და მათ კეთილდღეობათა.

თვით უფალმა მშვიდობისამან მოგეცინ თქვენ მშვიდობაი მარადის ყოვლითავე სახითა (თეს. 2, 16). არ შევსწყვეტ ლოცვას, რათა უფალმა ყოველთვის გარდმოგივლინოსთ თქვენ ყოველივე კეთილი და გიხსნასთ თქვენ ყოველივე უბედურებისა, მწუხარებისა და ყოველივე ბოროტისაგან და უკეთესად განაგოს თქვენი ცხოვნების საქმე.

თანამოღვაწე მექმენით მე თქვენცა, ძმანო, ლოცვათა შინა ჩემთვის ღმრთისა მიმართ (რომ. 15, 30). ერთობა სარწმუნოებისა და ლოცვისა იქმნეს შეურყეველ ჩემსა და თქვენ შორის. თქვენგანაც ვითხოვ ჩემთვის მშვიდობას და კეთილ სურვილს, რათა განმტკიცდეს სვლაი ჩემი უზენაესის კურთხევით და ღვთის-მშობლის მფარველობით. უკეთუ ვისმე აქვნდეს ჩემზე რაიმე უკმაყოფილება: შეიძლება ვინმე გავაწყინე ჩემი მისდამი უყურადღებობით, ანუ ვერ

აუსრულე თხოვნა, თუ ვისმეს ვაწყენიე სიტყვით, ანუ საქმით, თუ ვისმეს თავის დროზე ვერ მივეცი საჭირო დარიგება, შთაგონება და ნუგეში, თქვენმა სიყვარულმა დაფაროს ეს ჩემი შეცოდებანი თქვენს წინაშე, რათა უფალმაც დაფაროს ყოველივე თქვენი შეცოდებანი მეორე საშინელი განსჯის დროს. თუ ვინმე რითიმე გრძნობს თავის-თავს ჩემგან დავალებულად, იმან ილოცოს, რათა უფალმა შემაძლებინოს მე ქმნად უფრო მომეტებული კეთილისა. მე არ დავივიწყებ, საყვარელნო ძმანო, თქვენს სიყვარულს, სხვა სამწყსოის შორისაც არ დაგივიწყებთ თქვენ და მეყოლებით ჩემიანათ და ვილოცავ თქვენთვის, რათა წარემატოთ ყოველსა კეთილსა შინა, უმეტესად ვილოცავ თქვენი ცხოვნებისათვის.

გარდამოიხედე, ქრისტე ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, სიონით ამა ერსა შენსა ზედა და შუამდგომელობით ღვთის-მშობლისა, ყოვლად შემძლე მფარველისა ამა ქვეყნისა, და ლოცვითა მოციქულთ-სწორის ნინასითა, დაიცევ ისინი მშვიდობით და კეთილდღეობით ყოველივე უბედურებისა, მწუხარებისა, და ყოველივე ბოროტისაგან, რათა მტკიცედ და შეურყევლად ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვით მიაღწიონ კეთილი ცხოვრებით საუკუნო ცხოვნებისადმი. ამინ».

ამ სიტყვის გათავების შემდეგ მათი მეუფებისადმი მიიქცა მგძნობიარე სიტყვით დეკანოზი ელიევი და მიართვა მათ მეუფებას ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ხატი. პარაკლისის გათავების შემდეგ (ნაშუადღევის 2 საათზე) მათმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა პალლადიმ ხალხს დაურიგა წიგნაკები. წირვაზე და პარაკლისზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომელიც მოვიდა თავის მწყემსის გამოსათხოვრად, რომ როგორც ტაძარში, ისე გალავანში და ქუჩაში ტევა აღარ იყო. წარჩინებულ პირთაგან, მრავალნი დაესწრენ.

9 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, მიტროპოლიტს პალლადის თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მიართვა მშვენიერი ალბომი საქართველოს ძველ ტაძართა ფოტოგრაფიული სურათებით. ალბომის ყდები ვერცხლისაა. ერთ მხარეს გამოსახულია ჯვარი მოციქულთ-სწორის, საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოსი. ჯვარს ზემო არის წარწერა: «მოგვიტანე ჩვენ მშვიდობა და კურთხევა და ძირზედ არის ზედ-წარწერა: «მადლიერი საქართველოსაგან». «1887—1892 წ.»

როცა ალბომი მიართვეს მათ მეუფებას, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ლ. ა. მაღალაშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა მოახსენა მიტროპოლიტს პალლადის. მათმა მეუფებამ მიიღო ალბომი და ბრძანა, რომ იგი ყოველთვის ეცდება საქართველოს ეკლესიის კეთილ-წარმატებასა და გამშვენებას, შემდეგ მადლობა შესწირა კრებას და ყველა თვითეულად აკურთხა.

10 ნოეებერს დილის ექვს საათზედ გარდიხადეს პარაკლისი სასახლის ეკკლესიაში. აქ გამოეთხოვა ექსარხოსი უკანასკნელად და წაბრძანდა კარეტით. ყველა ეპისკოპოსები და მისული დეკანოზები, სინოდალნი კანტორის წევრები და სხვანი თან გაყვენ ფაიტონებით მცხეთამდის. ყველა ეკკლესიების ზარების რეკამ შეატყობინა თბილისს მიტროპოლიტის წაბრძანება. მცხეთაში გამოეთხოვენ ყველანი. აქ დეკ. დ. ღამბაშიძემ უთხრა: «იცხოვრეთ თქვენო მეუფებავ სასარგებლოდ ეკკლესიისა და მამულისა და სანუგეშოდ მართ-მადიდებელი სამწყსოისა». $9\frac{1}{2}$ საათზედ გაემგზავრა მცხეთიდამ ვლადიკავკაზისკენ.

რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექნა და თარგმნა საღმრთო ლიტურგიის და ლოცვებისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე?

(გაგრძელება *).

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულს ენას სამეგრელოში, ამას ცხადად დავინახავთ, თუ ყურადღებას მივაქცევთ სამეგრელოს ძველ მონასტრებს, ამ მონასტრების და ან კერძო პირთ წიგნთ-საცავებს. ყოველგვარი ზედ წარწერანი მონასტრების და ეკკლესიების კედლებზე, ეტრატები და ბოძებითი სიგელები ნაწერი არიან ქართულ ენაზე. გასაკვირველი უფრო ის არის, რომ ასეთი ხელნაწერები სამეგრელოში უფრო ბევრი მოინახება, ვინემ საქართველოს სხვა კუთხეებში. მრავალი ქადაგება მოიპოვება სამეგრელოს მიტროპოლიტებისაგან და ეპის-

*) იხ. «მწყემსი» № 20, 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპოსებისაგან წარმოთქმულნი ეკკლესიებში და მონასტრებში ქართულს ენაზე. ვის უქადაგებდნენ ეს მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები? ნუ თუ ეს ქადაგებანი წარმოთქმულნი იყვნენ ხალხისათვის, რომელსაც მქადაგებლების სიტყვები სრულებით არ ესმოდათ?! აქვე უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ქართული ენა ამ წიგნებში უფრო წმიდათ არის დაცული, ვინემ აღმოსავლეთის საქართველოში. ამას გარდა მეგრულს ენაში დღესაც ისმის ისეთი სიტყვები, რომელნიც უკვე გამოსულნი არიან ხმარებისაგან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, და მხოლოდ მოიპოვებიან ქართული ენის ძველს ლიტერატურულს ნაშთებში.

ყოველივე ეს ზემო ნათქვამი ცხადად გვიმტკიცებს, რომ მეგრელებისათვისაც სამშობლო ენა არის ქართული, როგორც იმერლებისა და გურიელებისათვის. მაგრამ ზოგიერთები, რომელთაც არასფერი არ უწყიან ჩვენი ხალხის ისტორიისა, შეცდომაში შეჰყავს სიტყვას «მეგრელია და მეგრელნი». ეს ვაჟ-ბატონები ფიქრობენ, თუ ამ ხალხს მეგრელები ეწოდება და არა ქართველები, მაშ მათი ენაც მეგრულია და არა ქართული.

ასე რომ იფიქროს კაცმა, მაშინ საჭირო შეიქნება დაარსდეს საკუთარი ლიტერატურა იმერლებისათვის, გურიელებისათვის, ქართლელებისათვის, კახელთათვის, ფშავთა და ხევსურთათვის. ასეთი მსჯელობა იმდენად საბუთიანი იქნება, რამდენათაც ის, რომ ვინმემ განიზრახოს დაარსება საკუთარი ლიტერატურისა რუსეთის ერის სხვა და-სხვა ნათესავთათვის.

ზოგიერთები, რომელთაც არა გაეგებათ რა საქართველოს ერის ისტორიისა, ამტკიცებენ, ვითომ ქართველების შთამომავლობას ეკუთვნიან მხოლოდ თბილისის გუბერნიის მცხოვრებნი, ე. ი. აღმოსავლეთის საქართველოს მკვიდრნი, ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი კი ვითომ სხვა ტომს შეადგენენ და ამიტომ ეწოდებათ იმერლებიო. ამ ბატონების აზრით სიტყვა იმერეთი და იმერლები ნიშნავს განსაკუთრებით ხალხს, როდესაც იმერლებიც ქართველები არიან, მხოლოდ ცხოვრებენ დასავლეთის საქართველოში ლიხის მთის აქეთ. ლიხის ანუ სურამის მთა ჩვენს სამშობლოს ორ დიდ ნაწილად ჰყოფს. ამ მთას იქით მდებარე ნაწილს აღმოსავლეთის საქართველო ჰქვია და შეადგენს თბილისის გუბერნიას, ხოლო აქეთა ნაწილს დასავლეთის საქართველო, ანუ ქუთაისის გუბერნია. აღმოსავლეთის საქართველოს მკვიდრნი ლიხის მთის აქეთა მცხოვრებთ უწოდებდენ იმ-ერებს (აქედგან წარმოსდგება სახელი იმერეთი). მაშასადამე სიტყვა იმერი ანუ იმერლები წარმომდგარია ამ საცხოვრებელი ადგილის სახელწოდებისაგან და სრულიად იმას არ ნიშნავს, ვითომც იმერლები ქართველების ტომს არ ეკუთვნოდნენ.

საქართველოს სამეფო შინაური ამბოხებისა გამო ხშირად იყოფოდა ხოლმე ცალკე სამეფოებად. ამ გარემოებას ხელს უწყობდნენ ხოლმე სპარსეთის და ოსმალეთის მმართველნი. ხშირად ქართლს თავის საკუთარი მეფე ჰყავდა, იმერეთს და სამეგრელოს თავთავისი. ბევრჯერ სამეგრელოს განაგებდნენ ადგილობითი თავადები. ეს თავადები ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რომ სამეგრელო გაეძლიერებიათ და გაეცალკევებიათ საქართველოს სხვა პატარა სამეფოებიდგან. ამას ამტკიცებს სამეგრელოს მკვიდრთა ისტორია. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ მეგრელიის მფლობელებს მაჰმადის სარწმუნოებაც მიეღოთ, რომ ამით მოეგოთ ოსმალეთის სულთანების გული და საჭიროების დროს მათგან დახმარებაც მიეღოთ. ამ დროს ყველა მეგრელები და მათი თავადები, რასაკვირველია, ეცდებოდნენ, რომ მეგრულს ენაზე დაეარსებიათ წერა-კითხვა ან სხვა რომელიმე ენიდგან გადმოეღოთ ანბანი და მეგრულს ენაზე ეწარმოებიათ ყოველივე მიწერ-მოწერა. მაგრამ ამ დროსაც კი ფიქრად არავის მოსვლია, სამეგრელოდამ ქართული ენის გაძევება და მის მაგიერ მეგრულს ენაზე წერა-კითხვის დაარსება. აქედგან ცხადათა სჩანს, მეგრელებს შეგნებული ჰქონდათ ქართული ენის დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც არას დროს ამ ენის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღიათ.

მაგრამ სამეგრელოს ახალი მეგობრები სრუ-

ლებით უარს-ჰყოფენ სამეგრელოს მკვიდრთა ისტორიას და ერთი კალმის მოსმით სურთ მოსპონ ის, რაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეუცვლელად დარჩენილა. ბ. აშორდიას და მის თანამოაზრეებს არ ესმისთ ყოველივე ეს და ცდილობენ მეგრულს ენაზე შეადგინონ ანბანი, მაგრამ ვისთვის ადგენენ ამ ანბანს, კაცმა არ უწყის. შეიძლება ამ ვაჟ-ბატონებს სურდეთ მოიხვეჭონ ის ღვაწლი და სახელი ისტორიაში, რა ღვაწლიც მიუძღვის რუსეთის ხალხის წინაშე წმ. კირილე და მეთოდეს, მაგრამ ეს ბატონები იმდენად დაშორებულნი არიან ჭეშმარიტებისაგან, რამდენათაც იგინი ძირს სდგანან კირილეზე და მეთოდიზე. ბ. აშორდიას და მისი ამხანაგების მოქმედება ცხადათ გვიხატავს კრილოვის არაკის ერთი დათვის სამსახურს.

შეიძლება მეგრელების ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს მეგრულს ენაზე ანბანის შედგენით და მეგრული ლიტერატურის დაარსებით სურდეთ სარგებლობა მოუტანონ რუსული ენის გავრცელების საქმეს სამეგრელოში და სწავლა-განათლების საქმეს საერო სკოლებში. თუ ამას ფიქრობენ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ და შევიტყოთ, თუ როგორ მიდიოდა სწავლა-განათლების საქმე სამეგრელოს სკოლებში უწინ და ან დღეს რა მდგომარეობაშია.

გადავათვალიეროთ სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლე ყმაწვილების სიები, როგორც წინა დროებისა, როდესაც ამ სკოლებში რუსულ ენას ასწავლიდნენ მოწაფეებს ქართული ენის შემწეობით. აბრკოლებდა თუ არა სწავლა-განათლების საქმეს ის გარემოება, რომ სამეგრელოს ყველა სახალხო და დაბალს სასწავლებლებში როგორც რუსულ ენას ისე სხვა საგნებს ასწავლიდნენ ქართული ენის შემწეობით? ამ მხრით სწავლა-განათლების საქმე სწორედ ისე მიდიოდა სამეგრელოში, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. ქართული ენა არ აბრკოლებდა სამეგრელოში არც რუსული ენის გავრცელებას და არც სხვა საგნების რიგიანად შესწავლას, ამას მოწმობენ სასწავლებლის მეუფროსეთა ანგარიშები და თვითონ სახალხო სკოლების მასწავლებელნი. ეხლა ისიც შევიტყოთ, თუ რამდენად ეხმარება სწავლა-განათლების საქმეს სამეგრელოს სახალხო სკოლებში ახალი ანბანის გამოგონება მეგრულს ენაზე და რუსული ენის სწავლება პირ-და-პირ მეგრული ენის შემწეობით? როგორც სამეგრელოში ისე საქართველოს სხვა კუთხეებში სოფლის საზოგადოება ვალდებულია შეინახოს სახალხო სკოლები და მასწავლებლებს აძლიოს შესაფერი ჯამაგირი. ამ მხრით როგორც სკოლები ისე სოფლის მასწავლებლები უფრო უზრუნველ ყოფილნი არიან სამეგრელოში, ვინემ სხვაგან. ყველა მასწავლებლები ვალდებულნი არიან ასწავლონ რუსული ენა პირ-და-პირ მეგრულის შემწეობით. მაგრამ როგორც გვარწმუნებენ დირექციების ანგარიშები და თვითონ მასწავლებლები, სწავლა-განათლების საქმეში საზოგადოდ და კერძოდ რუსული ენის შესწავლაში არავითარ წარმატებას არ ვხედავთ იმ დროსთან შედარებით, როცა რუსულს ენას და სხვა საგნებსაც სამეგრელოს სახალხო სკოლებში ასწავლიდნენ ქართული ენის შემწეობით. წინაალმდეგ, სახალხო სკოლების მასწავლებლების ერთ კრებაზე ქ. ფოთში, ყველა მასწავლებლები იმ აზრისანი იყვნენ, რომ მეგრული ენის ხმარება არავითარ სარგებლობას არ შვრება და რუსული ენის სწავლება უფრო ცუდად მიდის, ვინემ მაშინ, როცა ამ ენას ქართული ენის შემწეობით ასწავლიდნენო; ამას გარდა ვამჩნევთ, რომ მეგრულს ენაზე ახალი ანბანის შემოღების შემდეგ ბევრმა მოწაფეებმა დაანებეს თავი სწავლას სახალხო სკოლებში და გადადიან სამრევლო სკოლებში, სადაც სწავლა ყველა საგნებისა სწარმოებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის სახალხო სკოლების პროგრამის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია უწმ. სინოდისაგან. საჭიროა შევიტყოთ, თუ როგორ მიდის სწავლა-განათლების საქმე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, სადაც როგორც რუსულ ენას, ისე სხვა საგნებს მოსამზადებელ კლასებში ასწავლიან ქართულის ენის საშუალებით? ამ სასწავლებლის ყოველწლიური ანგარიში გვარწმუნებს, რომ რუსული ენის სწავლება აქ უფრო უკეთესად მიდის, ვინემ სხვა სასულიერო სასწავლებლებში. საზოგადოდ მეგრელების ყმაწვილები, რომელნიც გიმნაზიებში შესასვლელად ემზადებიან, სწავლობენ რუსულს ენას და სხვა საგნებს ქართული ენის შემწეობით. მაგრამ ეს არ აბრკოლებს ამ ყმაწვილებს, პირიქით უმეტესად მეგრელები იღებენ გიმნაზიებში ოქროს და ვერცხლის მენდლებს და სიმწიფის მოწმობას.

დეკ. დ. დამბაშიძე.

პედაგოგიკის ისტორიიდგან

(დასასრული *).

ე) ებრაელთა შორის. ებრაელები თავის-თავს «სალმრთო ერს» უწოდებდნენ და ამიტომ სალმრთო სჯულში, რომელიც დასწერა მოსე წინასწარმეტყველმა, ისინი ხედავდნენ ჭეშმარიტს წყაროს მათის ცხოვრებისას. ბავშვს ებრაელი სთვლიდა ღვთისგან მოცემულს ჯილდოდ, უშვილობას-კი ღვთის მიერ მოვლენილს სასჯელად. პირმშო (პირველს) შვილს ებრაელები სწირავდნენ ღმერთსა თანახმად მოსეს სიტყვებისა: «წმიდა ჰყავ ჩემდა ყოველი პირმშო პირველ შობილი, რომელმან განაღოს საშო; ყოველი პირველი ძეთა შორის ისრაელისათა კაცითგან ვიდრე პირუტყვადმდე ჩემი არს» (გამოსვლათა, იბ, ა) როგორც ღმერთი იყო მამა და პატრონი მთელის ებრაელის ერისა, ისე თითოეული მამა ოჯახისა იყო სრული ბატონი თავისი სახლობისა. შვილი ვალდებული იყო დამორჩილებოდა მშობლებს სიტყვის შეუბრუნებლად თანახმად მოსეს ბრძანებისა: «პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა» (გამ. კ, იბ). ურჩი შვილი მოსეს სჯულის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა.

ბავშვს დაბადებიდგანვე მარილ-წყალში დაბანდნენ და ჩვრებში შეახვევდნენ. მერვე დღეს წინადაცვეთდნენ და სახელს არქმევდნენ. 3 წლამდის დედა შვილს ძუძუს აწოვებდა. 8 წლამდის ბავშვის მასწავლებელი იყო დედა, რომელიც მას გულში უნერგდა კეთილ-ზნეობას. 8 წლის შვილის მასწავლებლად ხდებოდა მამა, რომელიც ასწავლიდა მას წერა-კითხვას და სალმრთო სჯულსა. დედა კი თავის ქალებს ასწავლიდა შინაურს მეურნეობას, დიასახლისობას. წერა-კითხვის სწავლებას ჰქონდა მეხანიკური ხასიათი, რომელსაც ჩვენს დროს უწოდებენ ბარბაროსულს სისტემას სწავლებისას. ბავშვი თუთიყუშივით იზეპირებდა მას, რაც წიგნში იყო დაწერილი და წაკითხულის კი არა გაეგებოდა რა. გარდა სალმრთო სჯულისა ებრაელთა ბავშვები სწავლობდნენ თავის ერის ისტორიას, სასულიერო საგალობლებს, ლექსებს და სხვ... განსაკუთრებული სკოლები არ არსებობდნენ. არსებობდნენ მხოლოდ საწინასწარმეტყველო სკოლები სამუილის და დავითის დროს; ამ სკოლებში სწავლობდნენ წინასწარმეტყველთა და მღვდელთა შვილები. შეძლებული ებრაელები ქირაობდნენ მასწავლებლებად სჯულის მცოდნე მღვდლებსა.

ბაბილონის ტყვეობის შემდგომ ებრაელთ სწავლა-განათლებამ წინ წაიწია, რასაც ხელი შეუწყო ეზდრას და ნეემიას მოღვაწეობამ. თითოეულს სალოცავთან ებრაელთა მღვდელს, რაბბის ჰქონდა გამართული სკოლა, რომელშიაც ახალთაობას ასწავლიდნენ სალმრთო სჯულსა. ქრისტეს მოსვლის დროს ებრაელებს სკოლები ბლომად ჰქონდათ.

70 წელს ქრისტეს შემდეგ რომის ხელმწიფის ვესპასიანეს ძემ ტიტემ დაანგრია იერუსალიმი და მისი ტაძარი, მაშინ ებრაელებმა ტირილით დასტოვეს თავისი სამშობლო, სადაც უკვე აღიმართა ჯვარი ქრისტესი, და გაიფანტნენ მთელს დედა მიწის ზურგზედ. აღსრულდა სავსებით მოსეს წინასწარმეტყველება ებრაელთა მომავალის ბედის შესახებ: «და იყო შენ საბასრობელად, და იგავად და მისათხრობელად ყოველთა შორის ნათესავთა“ (მეორე სჯულისა კჱ, ლზ) და განგაბნიოს თქვენ უფალმან ყოველთა მიმართ წარმართთა კიდითგან ქვეყანისა ვიდრე კიდედმდე მისა» (იქვე, ჲდ).

ილ. ფერაძე.

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-19 № 1892 წ.

ფუფუნება.

(კერძო გამოკვლევა)

ფუფუნების შესახებ სწავლულ და შეგნებულ კაცებ შორის ორნაირი აზრი ტრიალებს.—ზოგნი ამტკიცებენ, რომ ფუფუნება საჭიროაო წარმატებისთვის და მასზედ არისო დამყარებული სახელმწიფო; სხვებს კი ფუფუნება მიაჩნიათ მავნებლად. საზოგადოების მომეტებული ნაწილი არც ერთს ამ შეხედულებას ყურს არ უგდებს: აგერ რომ ერთი და ორი ფუფუნების განცხრომაშია, ეგერ მათ გვერდით ასსა და ათასს უკიდურესი სილატაკე სულს უხუთავს. სასარგებლო და სასურველია ფუფუნება, თუ არა,—აი საკითხი, რომელიც ამ წერილში უნდა გადაწყდეს.

ძველი ფილოსოფოსები და ეკლესიის მოძღვრები სასტიკის მხილებით და უებარის მჭევრმეტყველობით კიცხავდენ ფუფუნებას და მართალნიც იყვენ: ფუფუნება დამაუძლურებელია, მავნებელი პიროვნებისათვის და დამამხობელია საზოგადოების. თავდაპირველმა ქრისტიანობამ ფუფუნება უარჰყო კაცთმოყვარობის სახელით, საპოლიტიკო ეკანომიამ—სარგებლობის გულისთვის, მართლიერებამ კი მართლ-მსაჯულების დასაცველად: ასე რომ, ეს საკითხი, თუმცა „არ ახალია, ძველია“, მაგრამ ჩვენს დროსაც კიდევ უფრო საჭიროა მისი წინ წამოყენება და გათვალისწინება, ვიდრე ძველათ იყო საჭირო, ისევ დღეს გამწვავებული ცხოვრების ჭიდილი და დაპირისპირებული სიმდიდრე და სილატაკე. ფუფუნება არის თანამედროვე საკითხი, იმიტომ რომ ეხება იგი თვით საძირკველს არსებისათვის ბრძოლისას, რაც დიდ საშიშროებას უქადის სამოქალაქო წეს-წყობილებას, ხელოვნების და მრეწველობის ნაყოფს,—ერთი სიტყვით მთელ განათლებულ საზოგადოებას.

დაწვრილებით რომ გამოვიკვლიოთ ფუფუნების ისტორია სხვა-და-სხვა დრო-ჟამისა და სხვა-და-სხვა ქვეყნისა: ზემო აზიისა, ურიასტანისა, ეგვიპტისა, საბერძნეთისა, რომისა, გინდ შუა საუკუნოების, თუ ახალთ ახალის დროსი,—მაშინ ცხადათ დავინახავთ—როდის და სად რა შეხედულება ჰქონია კაცობრიობის ჭკუა-გონებას ამ საჭირბოროტო საკითხზე. ამ შეხედულობათა გადახილვითგან ჩანს, რომ მხოლოდ ზნეობითის გახრწნილობის ჟამს თუ ყოფილან ფუფუნების მომწონე მწერლები, თორემ სხვა დროს არა.

I

საჭიროა პირველ ყოვლისა გამოვარკვიოთ ნამდვილი მნიშვნელობა სიტყვისა „ფუფუნება“. ზოგი ფუფუნებას ეძახის ყოველსავე მას, «რაც ბადავს ცრუ მოთხოვნილებას, ნამდვილს კი აზვიადებს, აშორებს მას მიზანზე: აჩენს მოქალაქეებ შორის ფლანგვისა და ბედოვლათობის მოცალებას. ზოგს აძლევს ამპარტავნობის ამძვრელს თვითმოყვარების სიამოვნებას, რაც ნამდვილათ ვერ აკმაყოფილებს გულს; სხვებს კი უხატავს ფერადოვან სურათს ბედნიერობისას. პატრონებით იმ სიმდიდრისა, რასაც ისინი თავის დღეში ვერ მიაღწევენ». მაგრამ ამ გაჭიანურებულ განსაზღვრებას ისა სჯობს, საფუფუნო საგნად მივიჩნიოთ ყოველი ის ნივთი, რაც არ შეადგენს პირველ მოთხოვნილებას, დიდ ფასად ჯდება, მაშასადამე დიდი შრომაც უნდება და ხელთმისაწდომია მხოლოდ რჩეულთათვის. საფუფუნო საგნების ხმარება ჰნთქავს მრავალ დღეთა ნამუშევარ-ნაწელგულევს, გონიერს კმაყოფილებას კი არ აძლევს მისს მიმდევარს. აგერ ნადიმის დედოფალმა ცეკვაში ხელათ დაფრიწა 300 თუმნად ღირებული ბაბთის იუპკა. იგი უდრის ორმოც-და-ათი ათასის საათის განმავლობაში თვალების გამაწყალებელ შრომას, რაიცა ერთ წუთას გამოუდეგარი გახდა. და რა სარგებლობის გულისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ თქვან: ახ, ნეტავი შენ, რა მდიდარი ხარ, რომ გროშად არ წაგკვის ამოდენა ზარალიო!

ყველაზედ უკეთესი განსაზღვრება ფუფუნებისა არის ის, რომელიც შეიკავს მისს განკიცხვას. აქით გან გამოდის, რომ ერთს რომელსამე დროს ფუფუნებად შერაცხილი საგანი შემდეგში, შეიძლება, სრულიადაც არ ჩაითვალოს ფუფუნებად, თუ კი მისი შეძენა შესაძლო გახდა იაფათ. მაშასადამე, ფუფუნება არის მხოლოდ შედარებითი ცნება. თვითეული ერი და თვითეული დრო-ჟამი გადანამეტად რაცხს ყოველსავე მას, ურომლისოდ ყოფნას შეჩვეულან და არაფრათ მიაჩნიათ. ამას წინათ ჩვენში ქონის სანთლითაც იოლად გამოდიოდენ და ქართოფილის სანთელი ითვლებოდა ფუფუნებად, რასაკვირველია, სიძვირის გამო. აგრეთვე ჩითი და ტილო ერთ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუფუნო ნივთებად ითვლებოდა, და ლეინხამი იყო ჩვეულებრივი სამოსელი. დღეს კი უკანასკნელი ლატაკიც კი აღარ იცოშს ლეინ-ხამს, რადგან ეს ჩითზე უფრო ძვირათ ჯდება. შუა საუკუნოებში სალვალი ისეთი იშვიათი რამ მოვლინება იყო, რომ მეფის და მთავრის ქალებიც კი—თავიანთ საქმროებს, თუ პერანგს მიართმიდენ, ეს ისეთ ძვირფას ნობათად ითვლებოდა, რომ დაწოლის დროს იხდიდენ—არ გაეცვითესო. ბერძნებმა და რომაელებმა სრულიადაც არ იცოდენ ნიფხავ-პერანგი. დღეს ხომ უპერანგობა უმწვერვალეს სილატაკეს შეადგენს. როდესაც ჭრელ-ჭრელი ქსოვილები და ქირები მოჰქონდათ ინდოეთითგან, მაშინ იმათი ჩაცმა მხოლოდ მდიდარ ქალებს თუ შეეძლოთ, დღეს კი ღლიურ მუშის ტოლებსაც არაფრათ მიაჩნიათ მათით სხეულის შემოსვა. ასე რომ მექანიკის წინსვლამ შესაძლოთ გახადა, რათა უფრო ბევრმა ადამიანებმა ისარგებლონ სხვა-დასხვა საგნებით. მაინც კიდევ ფუფუნების განსაზღვრებად ზემოთქმული უნდა დარჩეს: საფუფუნო საგანი არის ყოველი ის საგანი, რაც ერთსა და მასვე დროს ნამეტნავიც არის და ძვირიცა.

ფუფუნებას ბადავს სამი გრძნობა: მედიდურობა, გრძნობიარობა და ალღო სამკაულისადმი. ყველაზე უწინ მოქმედობს მედიდურობა: გინდა როგორღაც გამოერჩე ყველას და გინდა ჩნდე სხვებზე უკეთესათ; ამას ჩადიან ისინი, ვისაც გონია, რომ ყველას მასავით თვალში აქვს ჭკუა. გონიერს და ჭეშმარიტ განათლებულ კაცს ეს თავმომწონეობა და ფუქსავატობა საცინლად მიაჩნია, ბრბოს, მართლადა, ძალიან აკვირვებს და თვალებს აჭყეტინებს სიმდიდრე და გარეგნული ძალა; მას ბედნიერად მიაჩნია სიმდიდრით და ძლიერებით სახელგანთქმული კაცი და სრულიადაც არ აგონდება, რომ ბედნიერება „შინაგან ჩვენს არს». აი, ძვირფასი მარგალიტის ფარღული: მდიდარი ქალი იხდის იმაში თორმეტი ათას მანათს, აი, ალმასის თვალი: ამას ათიათას მანათად ყიდულობს. ამას განა თუ იმისთვის შვრება, რომ ლამაზი ნივთი ქონდეს? ან კიდევ იმისთვის, რომ, ეს თუ გავიკეთე, უფრო გავლამაზდები—გავბრწყინდებიო?—არა. ასე რომ იყოს თალლითი მარგალიტი უფრო ნატიფათ ნათალი არ არის და იგრევე არ ბრწყინავს, როგორც ნამდვილი, ობოლი მარგალიტი? ამას შვრება იმიტომ, რომ ასე ძვირფასათ შენაძენი (ყიდვას და ფასს, ეგებ დამეტებულს, ყველას ატყობინებს) ფარღული იქმნება მისის სიმდიდრის გამომქვეყნებელი, მლაღადებელი. რომ დაინახვენ, აქას იტყვიან: ეს ქალი მდიდარიაო! და მისს მეტოქეებს, იმაზე ნაკლებ მდიდრებს, შეშურდებათ, თვალი ზედ დარჩებათ, გული გაუსქდებათ, და ეს კიდევ უფრო ულიტინებს და ფრთას ასხამს მის თავმოწონეობას. ეძებენ საკუთარ კმაყოფილებას და, ასე ვთქოთ, ხელოვნურ არსებობას სხვის თვალში. ეს ზოგადი და მეტათ მძლავრი გრძნობაა. ტყუილათ როდი ამბობენ ადამიანზე: საზოგადოებითი ცხოველიაო. როდესაც საზოგადოება ჭეშმარიტათ განათლებულია და მის თვალში ფასდებული და სათაყვანოა მხოლოდ სათნოება, სულის სიმაღლე, მაშინ თავმომწონეობა ხდება ძლიერ წამქეზებლად სიკეთისა და სიქველისადმი. და თუ, პირიქით, საზოგადოების თვალში სათაყვანოდ გამხდარა მხოლოდ სიმდიდრე, გარეგნულ ბრწყენა, მაშინ ვაი იმ საზოგადოებას!—თავმომწონობა გამოიწვევს ფუფუნებას და გარყვნილებას, რასაც მოსდევს ერის გათახსირება და დამხობა.

დღესაც რომ ისეთი წესი იყოს, როგორც ძველათ იყო; უცვლელი ეროვნული ტანთსაცმელი, მაშინ მუდმივი შემზადება ქარხნებში ქსოვილებისა ეღირებოდა ათასჯერ უფრო იაფათ, ვიდრე ეს ათასნაირი მოდური ნაქსოვები ღირან, ყოველ გაზაფხულსა და ზამთარში რომ შემოაქვთ: ახალ ახალს ქსოვილს ხომ ახალ ახალი მოწყობილობა უნდა. ერთნაირი ქსოვილი, შემოღებული სასწავლებლებში და სამხედრო უწყებაში დიდი შეღავათია კაცობრიობისათვის. თქვენ იტყვით: რათ უნდა დავემორჩილოთო თავმომაბეზრებელს ერთფეროვნებას და მოვაკლდეთ ახალ ახლობის შვენებას. ჩვენ მოგახსენებთ ამაზე: განა კაცობრიობას არ შეუძლია განძი, მეცნიერება და გემოვნება სხვა რამეში გამოიყენოს, რომ ისინი მემოდე ქალებს ხელში არ ჩაუყაროს და ამ მემოდეების და მექარხნეების აღმოჩინების ნიჭი სხვა სასიკეთო რაზედმე მიმართოს? ნუ თუ ქალები ვერ იპოვიან სხვას უკეთეს სამუშაოს და გასართობს, ვიდრე ეს ახალ ახალ მოკაზმულობაა, ფარჩა—ფურჩობა და ზიზილ-პიპილობა, უფრო ხშირათ წინააღმდეგი გემოვნებისაცა და გიგიენისა. განა საქმე ცოტაა, რომ არ გადაყვენ ამ დაუბოლოებელ კამათობას და მასლაათს და ნაცვალგებითს მოშურნეობას? უნდა იყოს ერთხელვე შემოღებული ტანთსაცმელი, ფრიად საშარჯულო და ლაზათიანი, ზამთრისთვის სხვა,

და გაზაფხულ-შემოდგომისთვის კიდევ სხვა. გიგიენა და ესტესტიკა გადაგვიწყვეტს თუ, რა ქსოვილი ავილოთ, რა ფერისა და რა გამოჭრილობის, და რომელ დროსთვის და რა ქვეყანაში. ერთხელვე მიღებული ეროვნული ტანისამოსი უნდა შესწორ-შემოსწორდეს, თუ რამ უხერხულობა აქვს და ამ მხრით მაინც უზრუნველ იყოს ერი, რათა ნიჭი და ქონება სხვაზე მოიხმაროს.

ამაზე, რა თქმა უნდა, აგვიტყდებიან: ის ხომ არ გინდათო, პირ-და-პირ საბერ-მონაზნო ჩოხანი ჩაგვაცვათო. ამაზედ პირველად აი რა უნდა შევნიშნოთ: ღრმა აზრი არის დაფარული იმ მოვლინებაში, რომ სამღვდელოებას მიცემული აქვს ისეთი ტანთსაცმელი, რომელიც უცვალებლათ შენახულა ამ 16 საუკუნის განმავალობაში. ეს ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც ეკკლესიას უნდა გამოიყვანოს ადამიანის გული და გონება იმ წვრილმანობათაგან, რაზედ თავს იქცევს ადამიანის ცუდმედიდობა და დააყენოს იგი სამარადისოს, წარუვალის საგნების გზაზე. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე, რომ, როგორც უძველესს ბერძნულ ჭურჭლებზე, ისე მესამე და მეოთხე საუკუნეთა აკალდამების ჩუქურთმებზე ყველგან ერთგვარის ტანთსაცმელით არის ადამიანი გამოხატული. დარჩენილია ჩვენის პირველი მეფის ფარნაოზის სურათი, საითგანაც ჩანს, რომ მას აქეთ აგერ 23 საუკუნის განმავლობაში ქართველებს ტანთსაცმელის გამოჭრილობა არ შეუცვლიათ. მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევარში აჰყვა ქართველობაც «მოდნებს» და თან-და-თან ცვლის თავისს სანაქებო და სამარჯულო ტანისამოსს სხვაგნებურზე. ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია ე. წ. ჩერქეზული ჩოხა ეროვნულ ტანთსაცმელლათ. ის შემოიღეს ახლარელე შაფრუხებთან ბრძოლის შემდეგ. ძველად თუ ამ კოჭებამდე ჩაფამფალებელ, ჩოხაზე უხერხული ტანთსაცმელი იყოს სადმე. ამ უკანასკნელ წლებში ყმაწვილები თითქო ისევ გამოუბრუნდენ ძველებურს მოკლე ჩოხა-ახალუხს და გურულ ზონიას და ქალები—სადა ქართულ კაბას, მაგრამ, ვეჭობ, ესეც მოდაა, და შეიცვლება ერთ ფუქსავატურ რაზედმე. უქმობა და კოპწიაობა ბადავს ქარაფშუტობას, მოდის ხუშტურებს და აჩემებათა. როცა კანონმდებლობაში იქმნება უმეტესი სიმართლე, სულსა და გულში სიმაღლე და თავში უმეტეს სალი მოსაზრება, მაშინ ჩვენც გავყვებით ამ შემთხვევაში ძველთა კაცთა მაგალითს: მდგნეობას ტანისამოსში, რაიცა არის შედეგი ხასიათის მდგნეობისა ისე, როგორც მოდის მიდევნა—ხასიათის დაუდეგრობისა.

(გაგრძელება იქნება).

მოხუცებული მღვდლების დათხოვნის შესახებ. *)

«მწყემსი»-ს 19 №-ში დაბეჭდილი იყო: «მოხუცებული მღვდელი გ. მაჩიტაძე დაითხოვეთ და მისი ადგილი მე მომეცითო»; უთხოვნია ერთს ვინმე სემინარიელს. ბოლოს საქმე იმითი გათავებულა, რომ აღნიშნული მოხუცი, შემდეგ გამოცდისა, მიუბრუნებიათ თავისავე სამრევლოში, ხოლო სემინარიელი უარით გამოუსტუმრებიათ. ამ შენიშვნამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ღრმა მოხუცებულ მღვდლებზე, რომელთაც დიდი კვნესა-ვაების ქვეშ დაიმსახურეს — არა თუ პენსია, არამედ თვით «ვლადიმერის» ორდენიც და მაინც არა ჰსურსთ, რომ მრევლს თავი დაანებონ. არ იფიქროთ, რომ რომელიმე ამათგანის სამსახური ქვეყანას სარგებლობას აძლევდეს, პირ-იქით ზოგიერთი მათის სამსახური საზარალოც არის სარწმუნოებისათვის. ხშირად ნასწავლი მღვდელი რომ არიგებს უმეცარს, უშლის ზოგიერთ ამაოდ-მორწმუნეობის მოშლას, ეს უსწავლნი და მოხუცებული მამანი წინააღმდეგს უქადაგებენ ხალხს. თუ იმას მიაქცევთ ყურადღებას, რომ მრევლი კმაყოფილია რომელიმე მოხუცი მღვდლისაო, მე გამოცდილებით დაგიმტკიცებთ (რადგან მეც მყავდა ერთი ამგვარი მოხუცი ამხანაგად), რომ რამდენადაც კმაყოფილია მრევლი მოხუცი მღვდლისა, იმოდენი უპატივცემულოც არის იმათ თვალწინ. აი მაგ. მე ვახდევინებდი მრევლს სრულს დრამას, ჩემი მოხუცი ამხანაგი კი ამის ნახევარს და იმასაც ზოგიერთებს. მე მასაჩუქრებდენ, ვთქვათ, დღიური შრომისათვის ერთას გინა ორი მანეთით, მაშინ ის პირიქით ეხვეწებოდა რამდენიმე გროშით დაჯილდოებას, მაგრამ ისიც არ ემეტებოდა მრევლს მოხუცი მღვდლისათვის და ხშირად იტყოდნენ: „პური შეპურეს გამოაცხობიე და ერთი კი მეტი მიეციო».

ვიცით, რომ სოფლის კაცი გადასახადს მღვდლისათვის არ იმეტებს, მაგრამ თუ იმან შეგამჩნია, რომ შენ ასრულებ შენს თანამდებობას ღირსეულად და თავიც მოგაქვს დაჭერილად, შესაბამად შენის წოდებისა, მაშინ იმასაც ძალაუნებურად ელვიძება გულში სიყვარული და პატივისცემა შენი და არ ზოგავს თავის ჯიბესაც. იოანე ოქროპირის ქადაგებაში ნათქვამია (კონდაკის ბოლოს): «უკეთუ ღვთისა შიში იპყრათ, კაცთა მიერ პატივცემულ იქმნეთო, ხოლო უკეთუ კაცთა თავაზიანობას მიჰყვეთ, თვით იგინივე გეცინოდნენ თქვენ»-ო და კიდეც ასეა.

დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს. მართალია, მოხუცებულმა მღვდელმა პენსია და თვით «ვლადიმირიც»

---

*) ვაძლევთ ავტორს თავისუფლებას თავისი აზრის გამოსათქმელად და ჩვენს აზრს შემდეგ გამოვსთქვამთ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმსახურა, მაგრამ კიდევ შეუძლია სამსახური და რას ერჩითო. ეს მოხდება ასში ერთი და იმისი წაბაძვით რომ ყველა უვარგისები, რომელნიც თვეში ერთხელ ძლივ ახერხებენ წირვას, გათამამდენ და სთქვან, სანამ ჩემი ოლარის აწევა შემიძლია, ვერავინ ჩამომართმევს ჩემს სამრევლოსაო, ცუდი იქნება. ის მღვდელი კი, რომელსაც, მართალია, ჯერ არც პენსია აქვს დამსახურებული, მაგრამ საუბედუროდ მისის გრძელ-ქამიერის უძლურებისა და უკურნებელის სენისა გამო (მაგ. ჭლექი, მჭამელი, დიდი ხველა და სხ.) მოუმზადებლად წამობორძიკდება ტრაპეზის წინ, იქვე უდგია ბოთლით ცივი წყალი და მალ-მალე ისხამს თავზე და ივლებს პირში, რომ გულშესუსტებული არ დაეცეს წირვის გათავებამდი, ვითომ რა მადლია ესრეთი სამსახური? ანუ რომელიც ყოველ დღე განურჩეველად მარხვისა სახსნილოთი იკვებება, ვითომ სნეულებისაგამო... ეხლა მრევლის სამსახურს თუ ვიტყვით, ცუდ ამიდებში სახლში იბარებს ურმით ავადმყოფს საზიარებლად და აკვანით მოსანათლავს, ესრეთი მღვდლის სამსახური ვითომ რა მადლია, ან რა შთაბეჭდილებას და სასოებას ჰბადავს უმეცარ ხალხის გულში? ან რა გაჭირვებისათვის? ვიტყვი გაბედვით: ეს ასობით ნასწავლნი რომ გამოდიან სასწავლებლებიდამ როდეს დაეცლებათ ამათ ადგილი? ან როდის ასარგებლებენ ესენი ქვეყანას თავიანთი სწავლით? ხომ ყველამ ვიცით რამდენიც, ამ მოხუცებულთ უცხოვრიათ, იმდენს ჩვენ აწინდელნი ველარ ვიცოცხლებთ.

ამასთან ერთი სოფლური ანდაზაც ძალაუნებურად მაგონდება. ამბობენ ხოლმე: „ვაის გავეყარე და ვუის შეეყარეო», სწორედ ასე დამემართა მეც. საწყალმა ჩემმა ძოხუცებულმა ამხანაგმა ბოლოს, როგორც იქმნა, დამიცალა ადგილი და თვით გაემგზავრა წიაღთა აბრაამისათა. ასწიეს ერთი არა ამაზე ნაკლები მოხუცი მღვდელი და ამომისვეს გვერდში, ისიც ერთშტატიან ეკლესიაზ-. ამასაც ვიღა დამაჯერა: მრეველიც და ჯაჭაგირიც (80 მ.) შუაში გამიყვეს, მხოლოდ უპირატესობა კი დამიგდეს. ვითომ რაო? «რაო და აწი კი მოეხუცდი ადრევე პენსია დავიმსახურე, ხოლო ვლადიმირის დამსახურება ნახევარ ჯამაგირითა კი ჩემს სამშობლოში ვარჩიეო». ან რა ზარალი აქვს ამ ლირსი მამას, რომ სხვაგან კარგად შეღონიერებულა (გამდიდრებულა), პენსია დაუმსახურნია, არც იმას დაჯერებულა, ეხლა «ვლადიმირის“ დამსახურებას ჩემის ლუკმის გაყოფით თავის თბილ საბანს ქვეშ დაამთავრებს. ბოლოს შეიძლება არც იმას დაჯერდეს, თუ მთავრობამ რამე ფერად ბოლო არ მოუღო მის სურვილს.

კარიუელი მეგრელი მღვდელი.

ხეტერო.

(ვუძღვნი ზოგიერთ ვაჟ-ბატონებს).

რამ გაიძულა, ხეტერო,
სჯულისა გადაგვარება,
მამის ზნე-წესის დაკარგვა,
გზა დაბნეულათ ტარება.

რათ არ იკითხე, მამაშენს
რა წესი ქონდა ძველათა,
და არ დაადეგ შენც იმ გზას.
იმ წესის დასაცველათა.

ჩვენთა წინაპართ, ძვირფასი
ტაძრები უშენებიათ,
სჯულის სიმტკიცე შვილთათვის
ამითი უჩვენებიათ.

არ დაუშურავს საყდრისთვის
ყმა და მამულის შეწირვა,
რომ მღვდლებსა უზრუნველ ყოფილს
მუდამ ელოცა-ეწირათ.

აქ ცრემლით ევედრებოდენ:
ღმერთო, მაღალო, ზენაო,
არ მოგვიშალო ჩვენ ჩვენი
წირვა, ლოცვა და ენაო.

ქართული ენით ქართველი
გიღაღადებდეს ქებასო,
სჯულს და სამშობლოს იცავდეს,
ისმენდეს შენსა მცნებასო.

ხეტერო! ოც-და-ათ წლამდის
გზარდეს, მშობლები აწვალე,
მისთვის, რომ მამის ზნე-წესი
უკულმართ წესზე გაცვალე?

არ ვიცი ქრისტიანი ხარ,
თუ უცხო რაღაც სხვა სჯულის,
გეტყობა, აღარ გეშინის
შენ ზეციური მსაჯულის.

არ გიყვარს წირვა, არც ლოცვა,
არც მღვდელი, არც ეკლესია,
სამშობლო ენა ჭირად გიჩნს,
სხვა ენა გაგილესია.

ვინც უნდა იყოს, ყველასთან
ამ ენით იცი ტიტინი,
კაცთ შთამოებას ვერ არჩევ,
რამ დაგიბნია ეგ ტვინი?

გაწბილდა ძველთაგან თქმული,
რომ იძახოდენ ამასა:
„ასე სჯობს მამულისათვის,
რომ შვილი სჯობდეს მაძასა?!“

რ. საჯაოხელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ახალი ექსარხოსი საქართველოისა, მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი ეხლა ბრძანდება პეტერ-ბურღში და, მიბრძანდება თუ არა პეტერბურღში მიტროპოლიტი პალლადი, ის მალე გამოემგზავრება საქართველოსკენ.

***

ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი გამოცემა ქართული დედა-ენის სასწავლებელი წიგნი სახატავებით, სურათებით და დედნით. წიგნი შედგენილია ი. ბოგებ-შვილისაგან. ეს უკანასკნელი გამოცემა სწორედ მშვენიერია. სასულიერო ზნეობრივ განყოფილებას წიგნში დათმობილი აქვს 56 გვერდი. ეს წიგნი მიუცილებელ სასწავლო წიგნს შეადგენს ჩვენი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის.

*
* *

—«Новое Время»-ს სიტყვით, სახელმწიფო რჩევის პირველ კრებებზედ განსჯილ-განხილულ იქმნება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის პროექტი იმის შესახებ, რომ უქმე დღეებში ვაჭრობა და საზოგადოდ კვირა დღეებში ყოველნაირი მუშაობა აღიკრძალოს. გაზეთებმა ხმა დააგდეს, რომ ახალის კანონის ძალით ქარხნებშიაც კვირა-უქმე დღით მუშაობა მთელს დღეს აკრძალული იქნებაო. აქედგან გამოირიცხვის სხვა-და-სხვა სანოვაგეების გამ-ყიდველი მაღაზიები, რომელთაც ნება ეძლევათ ვაჭ-რობისა დილის 8 საათიდგან 10 საათამდე. ახალი კანონი სულ არ შეეხება სოფლის დუქნებს.

—იმავე გაზეთებში ვკითხულობთ, რომ საერო განათლების სამინისტროში არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ძირეულად უნდა შესცვალოს კერძო სასწავლებლების წესდებაო.

*
* *

გაზეთში გამოსაცხადებლად ჩვენ მივიღეთ წერილები შემდეგ პირთაგან:

1) მღვ. გაბრიელ ჯიქიასაგან:

„უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზ. «მწყემსში». ერთმა ჩემმა ნათესავმა, ეკეის ს. მკვიდრმა (სენაკის მაზრაშია) დიმიტრი ტაგუს ძე ადამიამ გამომიგზავნა ქ. ირკუტსკიდან, სადაც ამ დროებით სცხოვრებს, 50 მანათი ფული შესაწირავად ეკეის ორ-შტატიან იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიისათვ-ს; ხოლო ეს ფულები მე გარდავეცი წარსულ ითვის 2 სექტემბერს ამა ეკლესიის კრებულს.

2) მღვდლის ა. კაჭარავასაგან:

„მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზ. «მწყემსი»-ს საშუალებით ნება გვიბოძოთ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და მრევლის მხრით იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ზანათის წმ. იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიას სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები. აი შემ-წირველ პირთა სიაც: მღვ. ს. ქობალავამ—შესწირა 1 წყვილი დროშა, ღირებული 30 მ., 2-ე გილდის ვაჭარმა მანუჩარ ქობალავამ და მისმა მეუღლამ ტა-სიამ 1 სანაწილე, ტრაპეზის 1 ჯვარი, ტრაპეზის 2 შანდალი და 2 საცეცხლური, ღირ. 65 მ.; მედა-ვითნემ მოსე გუნიამ 2 დიდი შანდალი, ღირებული 30 მან.; სუხუმის მოვაჭრემ ტაია ბაბამიამ გარდა-მოხსნა, ღირ. 42 მ.; კოსტა ქობალავას მეუღლამ ეფროსიმ 5 მ., ბახვა ქობალავას მეუღლამ ირინემ 3 მ., რომლითაც ვიყიდეთ ტრაპეზის შესამოსელი, იესე გუნიას მეუღლამ ტასიმ 4 მან. სამირონო. 2 გილდის ვაჭარმა ბარის ქობალავამ კოვზი განსაზავე-ბელი და სხვა წვრილმანი სამკაული—8 მან. და იმ პირთ, რომელთა შეკრებილის ფულით ვიყიდეთ 1 ხელი თეთრი შესამოსელი.

მაცხოვრის 2-რე ზედმიწერილის ეკლესიას: 2 გილდის ვაჭარმა სილბისტრო უჩამეიშვილმა 1 კან-დელი და 1 დავითნი, ღირებულნი 28 მან.; დავით უჩამეიშვილმა სახარება შემოაჭედინა 15 მ., ვაჭარმა გიორგი კოკაიამ ნათლის-მცემლის ეკლესიის სახა-რება შემოაჭედინა 15 მ., სოლომონ უჩამეიშვილმა საქორწინო გვირგვინი 12 მ., 1 ხელი შესამოსლის საყიდლად შემოიტანეს შემდეგ პირთ: 2-ე გილდის ვაჭარმა იესე თაკვარელიამ 10 მ. და იმ პირთ, რო-მელთაც შემოსწირეს წვრილ-წვრილობით შესამოს-ლის ფასის შესავსებლად. ყველა ზემოთ მოხსენებულ პატივცემულ პირთ მოხსენება ექნებათ ყოველს წირ-ვაზედ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მღვდლის ა. კაჭარავასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი შემდეგს კითხვებს და განგვიმარტოთ.

რატომ არ იწირება უკვლიერის ოთხშაბათ-პარასკევს? მარტო ამ დღეთათვის სასარგებ-სამოციქულოს უქონელობა არის მიზეზი?

ვისაც სურს, ყოველთვის შეუძლია ყველიერის ოთხშაბათს და პარასკევს სწიროს. არსად არ სწერია, რომ ამ დღეებში წირვა აკრძალული იყოს.

რამდენიმე მიმქმელების ოდეს ტიბიკონი არ უჩანს. ერთვალ მიმქმელებთაგან ერთი, რომელსაც მღვდელი დაჩიშნავს საბუთში მიმქმელად, ირიცხება ნათესავად. ხოლო დანარჩენნი ირიცხებიან მოწმედ. თუ ერთს გაჭყვება ნათესაობა, რატომ სხვებიც არ შეირიცხებიან?

ქორწინებაზედ ძმადები და სხვებიც ესწრებიან, მაგრამ გვირგვინის კურთხევა სრულდება მარტო ერთ ქალსა და კაცზედ. მხოლოდ ერთი მიმქმელი იღებს მონაწილეობას ნათლის-ღების საიდუმლოში და არა სხვანი. ეს მიმრქმელი იწერება საბუთში და ის არის ნათლულის და მისი მშობლების ნათესავიც. ემბაზს რომ შემოუარონ რამდენიმე კაცმა და ქალმა, როგოც ეს იციან ზოგიერთ ადგილას, ხელი მოკიდონ მოსანათლავ ბავშს ან მის სახვევს, ამით მონათლულის ნათესავი არ შეიქნებიან.

მიმქმელად გაჭირვების დროს ჩვენში ვიღებთ ძმას ძმისათვის, ბაბუას და ბებიას შვილიშვილთათვის, აგრეთვე დებს და სხ. ერთის სიტუკვით გარდა მშობლებისა უველას. კანონიერია ეს თუ არა და ან ვინ არ მიიღება?

რასაკვირველია კანონიერია. ვინც არ მიიღება მიმქმელად, ეს განმარტებულია ჩვენგან გამოცემულ წიგნში, რომელიც ყველა ეკლესიებშია.

დიდი სანი არ არის, რაც უდიაკვნოდ წირვა შეუძლია ორ მღვდელს, მაგრამ რიგიანად არ არის განმარტებული, თუ რომელ მღვდელს ეკუთვნის ბმეკ? დიდი გამოსვლის დროს ვინ გამოასვენოს ბარძიმი და ან რომელმა იბურას ფეშხუმი? ბოლოს ბარძიმის გაწმედა ვისი მოვალეობაა? სასარგებ რამდენიც ჭქონდეს, უველას უშარტესი წაიკითხავს, თუ მეორეც გამოესტვლებაა?

როდესაც უმთავარდიაკვნოდ სწირავს ორი მღვდელი, მაშინ პირველად მწირველი დაიწყებს წირვას და იტყვის დიდ კვერექს თავისი ასამაღლებელით. მეორე დანარჩენ მცირე კვერექსებს თავის ასამაღლებლებით. მეორე იტყვის წარდგომას და სამოციქულოს წინ «მოხედენ» და «სიბრძნით» და იგივე აკმევს. მეორე მღვდელივე იტყვის კვერექსს: «ილოცეთ კათაკმეველნო». დიდს გამოსვლაზედ მოიხსენებს მემკვიდრეს და მთელს სამეფო სახლობას. იტყვის: «აღესრულოთ ვედრება ჩვენი» და უკანასკნელ მცირე კვერექსს ასამაღლებელითურთ...

თუ მესამე მღვდელია მწირველი, მან უნდა სთქვას მეორე მცირე კვერექსი და ასამაღლებელი «რამეთუ სახიერი»... იგივე აკმევს წირვის დროს, იტყვის სამოციქულოს წარდგომის წინ «სიბრძნით» და სახარების წინ «მოხედენ»; იგივე იტყვის კვერექსს «რაოდენი კათაკმეველი ხართ, განვედით,... იგივე მოიხსენებს უწმიდეს სინოდს და ადგილობით არქიელს ბარძიმ-ფეშხუმის გასვენების დროს, დახურავს კრეტსაბმელს და იტყვის კვერექ «ყოველთა წმიდათა მოხსენებითა»... ასამაღლებლითურთ და «მშვიდობით წარვიდეთ უფლისამიმართვილოცოთ», რადგან იგივე წაიკითხავს ლოცვას.

თუ მეოთხე მღვდელიც არის, მაშინ მას შეხვდება სათქმელად წარდგომის წინ «მოხედენ» და სამოციქულოს წინ «მოხედენ და სიბრძნით»; იგივე შეასრულებს კმევას და იტყვის კვერექს: «მორწმუნენო კათაკმეველთათვის ვილოცოთ»...

თუ მეხუთე მღვდელია, მას შეხვდება სთქვას სამოციქულოს წარდგომის წინ «სიბრძნით» და კვერექსი: «რაოდენი კათაკმეველნი ხართ, განვედით», ბარძიმის გამოსვენების დროს მოიხსენებს უწმიდეს სინოდს და ათგილობით მღვდელ მთავარს.

ამასთან უნდა ახსოვდეს ყველას, რომ უნცროსი მღვდელი ასამაღლებელის გათავებისას მდაბლად თაყვანს სცემს ჯერეთ ტრაპეზს და შემდეგ მიბრუნდება უპირატესისაკენ და მას დაუკრავს თავს. უნცროსი მღვდლისაგან უნდა იქნეს შესრულებული კვეთა და იგივე წაიკითხავს ამბიონზე წასაკითს ლოცვას.

ჩვენ აქ დავასახელეთ, თუ რა შეხვდება მეორე მღვდელს, 3-ს, 4-ეს და 5-ს, დანარჩენი უპირატესმა, პირველმა მღვდელმა უნდა შეასრულოს. ამასთან ხელის აღპყრობა, ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენება, სულის წმიდის გადმოწვევა მარტო უპირატეს მღვდელს ეკუთვნის.

«მწყემსში» რამდენჯერმე იყო განმარტებული, რომ ერთის ტრაპეზის წინ რამდენიც უნდა იყვნენ მწირველნი, ერთ წირვად შეირაცხებაო. ამ განმარტებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლებში, (რადგან ერთად მწირველ რამდენიმე მღვდელს ერთის საჩუქრით ისტუმრებენ). ნუ თუ ერთსა და იმავე ყანაში რამდენიც უნდა იყვნენ მუშაკნი, ერთის კაცის ნამუშევრად შეირაცხება და ყველას ერთი სასყიდელი უნდა მიეცეს?

შემცდარი აზრია, თუ ვინმე მართლა აგრე ფიქრობს. არ გვჯერა, რომ ვინმე 4 და ხუთს მღვდელს ერთი საწირავი მისცეს. გამოტირილზედ მრავალ მღვდლებს პატიჟობენ, მაგრამ ერთ მღვდელს კი არ აძლევენ საშრომს, ყველას აძლევენ. ხშირად ერთი საქმისთვის ოთხ-ხუთ კაცს ქირავობენ და ყველას თავთავის საშრომს აძლევენ. თუ ამისთანა შეხედულება აქვს ჩვენ ხალხს მღვდლების წირვაზედ, ამაში ისევე მათი მოძღვრებია დამნაშავე და ამიტომ არაფერი ეთქმისთ.

ზოგიერთი სოფლის ახალი დეკანოზები კადნიერად ჰხდიან თავიანთ დიაკვნებს, რომ წირვაში სახარება იკურთხოს სახალხოდ და ხმამაღლად: აკურთხე მაღალ ღირსო მამაო! სიტყვანი კეთილმაუწყებ... ზოდიშს გიხდი თქვენ წინაშე. თუ სოფლის უბრალო დეკანოზები კადმერთეთ მაღალ ღირსების ტიტულით, მაშ მმ. არქიმანდრიტებს რაღა გარჩევა მიჰცეთ?

კაცმა რომ ტიბიკონი აღასრულოს და წირვა შეასრულოს კონდაკისამებრ, განა ეს დეკანოზების გაღმერთება იქნება? დეკანოზებს რომ მაღალ ღირსო მამაო უთხრან, ამით არქიმანდრიტებს რა დააკლდებათ? არქიმანდრიტი ციდა ჰგონიათ? ზეციდამ ჩამოსული ხომ არ არიან?

მამაკვდავი კადნიერული ზიარების ლოცვას მუხლებო: «მრწამს უფალო» თვითონ ათქმევინოს მოძღვარმა, გარნა თუ ისე მისუსტებულია და ვერ შესძლებს თქმას, შეიძლება თუ არა მის მაგიერ მოძღვარმა ილოცოს ასე: «სწამს უფალო და აღიარებს... შენ უკვე გვედრებს, შეიწყნარე ესე და სხ...

თუ მომაკვდავი ისე მისუსტებულია, რომ სიტყვის თქმის ღონე აღარ აქვს, მაგრამ ანიშნებს მღვდელს მონანებას და სარწმუნოებას, მაშინ შეუძლია მღვდელმა ლოცვის უთქმელად აზიაროს იგი.

რედაქციის პასუხი.

მღ. მ. კ. ღვთისა—ოვს. ახალი კარაბადინი მალე გამოვა საბეჭდავიდამ მეორე გამოცემით და გამოგეგზავნებათ. წიგნებს გიგზავნით. თქვენი სტატია არ დაიბეჭდება, რადგან ჩვენი მკითხველებისათვის ეგ კითხვა ეჭვ გარეშეა.

მღვდელს ვ. მ—ნს. გირჩევთ ნეკროლოგი «საქართველოს მოამბე»-ში გაგზავნოთ და იქ დაუთმობენ ადგილს, რადგან განსვენებული იმის გავრცელებას უმეტესად ცდილობდა თავიანთ საბლაღოჩინო სამღვდელოებაში და უმეტესი მკითხველი ეყოლება.

ს. მ. კელ—ძეს. უფლის კვართზედ რაც იციან ჩვენმა მკითხველებმა, უეჭველად მიაჩნიათ და ასეც არის. თქვენი მოთხრობა უადგილო ეჭვს დაბადებს მორწმუნე გულთა შინა, ამისთვის არ იბეჭდება.

სოფლის მღვდელს. ყველა თქვენგან მოწერილი საეჭვო კითხვები განმარტებულია ჩვენგან შედგენილ მღვდელთათვის სახელმძღვანელო წიგნში, რომელიც ყველა ეკკლესიაზედ მოიპოვება. ზოგიერთი ეს კითხვები წინედ არიან ჩვენგან განმარტებულნი.

შ ი ნ ა ა რ ს ი: გამოთხოვება მიტროპოლიტის პალლადისა სამწყსოსთან.—რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექმნა და თარგმნა საღმრთო ლიტურღიის და ლოცვებისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე?—პედაგოგიკის ისტორიიდგან.—ფუფუნება.—მოხუცებული მღვდლების დათხოვნის შესახებ.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Ноября 1892 г.
Типографія редакціи (Д. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.